კონსტრუქციული დასკვნა

საპროექტო ობიექტი:

ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №47, ს/კ 01.10.12.042.006, მრავალფუნქციური კომპლექსი შენობა

საგანი:

დარღვევით ნაწარმოები მშენებლობა

ჩვენს მიერ 2023 წლის ივნისში დამუშავდა აღნიშნული ობიექტის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო დასკვნა. ამჟამად განიხილება მისი მშენებლობის წარმოებისას, კონსტრუქციებთან დაკავშირებული ხარვეზები და შეუსაბამობები. კერძოდ, მერიის მუნიციპალური ინსპექციის №005794 შემოწმების აქტი, სადაც კონსტრუქციების მიმართ მითითებულია შემდეგი:

- 0.00 ნიშნულზე "F" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია კიბე;
- 30.60 ნიშნულზე კიბის უკრედზე მოწყობილია ლითონის კიბე და ღიობი;

აღნიშნული ორივე შეუსაბამობა გამოწვეულია მხოლოდ ადრე დამტკიცებული არქიტექტურული პროექტის და კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის თანხვედრის ცდომილებით. მშენებლობის წარმოება მიმდინარეობდა კონსტრუქტორთა გუნდის საავტორო ზედამხედველობით და სრულად შეესაბამება პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის ბოლო მუშა დოკუმენტაციას.

დასკვნა:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კეთდება დასკვნა, რომ №005794 შემოწმების აქტით დაფიქსირებული "დარღვევით ნაწარმოები მშენებლობა" არ ახდენს უარყოფით გავლენას კონსტრუქციების საანგარიშო პირობებზე. მზიდი კონსტრუქციების მდგრადობა-მზიდუნარიანობა ეჭვს არ იწვევს.

ექსპერტი,
ინჟინერ-კონსტრუქტორი, ტ.მ.დ.,
შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი ე. წოწერია



თბილისი 27-09-2025